თიურინგია

უთვალავია იმ აღწერილობათა რაოდენობა, რომლებიც თიურინგიის მდიდარ ისტორიასთან მიმართებაში გამოყენება. მაგ. როგორებიცაა: გერმანული კულტურის შუაგული, რეფორმაციის კერა, ბახების სამშობლო და კლასიკის ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული კულტურული გარემო ვართბურგის და ვაიმარის ირგვლივ მეოცე საუკუნემდე სრულყოფილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი კი არა გერმანული ჯუჯა სახელმწიფოების ტიპიური ნიმუში იყო, მეცხრამეტე საუკუნის გერმანულმა ისტორიოგრაფიამ იმ თიურინგიული კულტურული იმპულსების მნიშვნელობა, რომლებიც ერის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნა, თუმცა მისი საბედისწერო დაქუცმაცება შემდეგნაირად გაკიცხა: „ჩვენი კულტურის აღორძინებაში თქვენი ღვაწლი განუზომელია, სახელმწიფოს აღორძინებაში კი არაფრისმთქმელი.“ (ჰაინრიხ ფონ ტრაიჩკე) თანამედროვე ისტორიოგრაფიამ ეს განაჩენი შეასწორა და თიურინგიის როლი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების განახლებაში წინა პლანზე წამოსწია. 1920-1990 წლებში ნაბიჯ-ნაბიჯ გაერთიანებული თიურინგიის გადმოსახედიდან, ამ განვითარების პოზიტიური მხარე ჯაბნის ნეგატიურს: თავადურ წესწყობილებას „რეზიდენციების სამშობლოში“ ერთმანეთთან მჭიდროდ აშენებული ულამაზესი ციხე-სიმაგრეები, პარკები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და თეატრები მოჰყვა, რამაც თიურინგია პოეტების და მოაზროვნეთა ქვეყნის სინონიმად აქცია.

თიურინგია ისტორიულ ჭრილში

მიუხედავად ცვალებადი დამოკიდებულებისა მის მიმართ, თიურინგია გერმანიის ტერიტორიული დაქუცმაცების საჩვენებელ მაგალითად ითვლება. შუასაუკუნებრივი სახელმწიფოებრიობა ოცდაათწლიანი ომის შემდეგ (1918-1948) თანდათანობით რეგიონალური ძალების სასარგებლოდ მათ ფაქტიურ დამოუკიდებლობაში გადაიზარდა. შესაბამისად სამხრეთ-დასავლეთ და შუაგერმანიის რამდენიმე რეგიონის საკმაოდ ვიწრო სივრცეში უამრავი საერო და საეკლესიო ჯუჯა სათავადო წარმოიქმნა. თიურინგიის დაქუცმაცების პროცესმა დაახლოებით 30 სახელმწიფოებრივი წარმონაქმნით, ექსტრემალური ხასიათი მიიღო და გერმანიის სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დიდხანს იარსება. თუმცა არსებობდნენ ისეთი ისტორიული მოვლენები, რომელთა არსებობამ თიურინგიულ ჯუჯა სახელწიფოებს ერთიანობის შეგრძნება შეუნარჩუნა. ამის მაგალითებია: თიურინგიის სამეფოს არსებობა შუასაკუნეების დასაწყისში და ლუდოვინგერების საგრაფო თიურინგია.

თიურინგიის სამეფოდან თიურინგიის საგრაფომდე

ხალხთა გადასახლების წინა პერიოდში გერმანული ტომების - ჰერმუნდურებისგან, ანგლებისგან და ვარნებისგან წარმოიშვა თიურინგელების ტომი, რომელიც პირველად რომაელი ავტორის ვეგეციუს რენატუსის მიერ მოიხსენიება. „თორინგებმა“ (თიურინგელებმა) მეხუთე საუკუნეში მძლავრი სამეფოს შექმნა მოახერხეს. მათი ძალაუფლება საწყისს ეტაპზე პატარა ტერიტორიებიდან ალთმარკიდან და ელბადან დაწყებული, მდინარეებს ვერას და დონაუს გასცდა. როგორც გვიანანტიკური გერმანული ევროპის მნიშვნელოვანი ძალა თიურინგიის სამეფო სხვათა შორის ოსტგოთების სამეფოს მბრძანებლის თეოდორიხის მოკავშირეც იყო. 510 წელს ეს კავშირი თეოდორიხის დისშვილის ამალაბერგას და თიურინგიის მეფის ჰერმინაფრიდის ქორწინებით კიდევ უფრო განმტკიცდა. თეოდორიხის გარდაცვალების (526 წ.) შემდეგ თიურინგია 531 წელს მდინარე უნსტრუტთან ფრანკების და საქსონების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა. თიურინგიის მეფე ჰერმინაფრიდი კი მოგვიანებით შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ამ მკვლელობის შემდეგ თიურინგია, როგორც დამოუკიდებელი სამეფო ისტორიის სცენიდან გაქრა.

თიურინგია ფრანკების სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, რომელსაც მეროვინგების დინასტია განაგებდა. კარლონგების დინასტიის შთამომავლების ჰაუსმაიერების მმართველობის პერიოდში, რომლებიც 751 წლიდან საფრანგეთის მეფეები იყვნენ, მეექვსე საუკუნის თიურინგიაში ქრისტიანობის გავრცელების პროცესი დაიწყო. ქრისტიანობამ მისიონერ ბონიფაციუსის მიერ დაარსებული ერფურტის ეპარქიის სახით (რომელიც მალე მაინცის ეპარქიას შეუერთდა) 742 წლისთვის ჩამოყალიბებული სახე მიღო. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრანკების სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, თანდათან გერმანიის იმპერიის წარმოქმნის პროცესი დაიწყო. ოტონ-საქსონური მეფეების მმართველობის ხანაში (914-1024) თიურინგია ცენტრალური ძალაუფლების მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო. რაინელი სალიერების მმართველობისას (1024-1125) თიურინგიამ სამეფო კართან მჭიდრო კავშირი ისევ დაკარგა, მაგრამ ამავდროულად დაიწყო ადგილობრივი წარჩინებულების აღზევების პროცესი, რომლის შედეგად - თიურინგიის საგრაფომ (1131-1247) შტაუფენების მრძანებლობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

თავიანთი გვარის პირველი მამრობითი სქესის წარმომადგენლის სახელის მიხედვით წოდებული ლუდოვინგერები ფრანკონიიდან იყვნენ და ლუდვიგ წვეროსნის მეფობისას 1040 წელს ფრიდრიხროდას მიდამოებში დასახლდნენ. ლუდვიგ წვეროსნის ვაჟმა, ვართბურგის, ნოინბურგის და რაინჰარდბრუნის მონასტრის ლეგენდარულმა დამაარსებელმა ლუდვიგ შპრინგერმა (1080-1123) მოახერხა, თიურინგიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება განვითარების გზაზე დაეყენებინა. ასეთი მემკვიდრეობის წყალობით თავის მხრივ მისმა ვაჟმა ლუდვიგმა თიურინგიის საზღვრები ჰესენის მიმართულებით კიდევ უფრო გააფართოვა.

ლუდვიგმა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორ ლოთარ ფონ სუფლენბურგისგან ლუდვიგ I.- ის და ახალშექმნილი წოდების ~ თიურინგიის გრაფის ტიტულები

მიიღო. მალე ლუდოვინგერები, რომელთა მისიას თიურინგიაში წესრიგის და მშვიდობის დამყარება წარმოადგენდა, იმპერიის უძლიერეს დიდებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ლუდვიგ II.-მ (1140-1172) ლუდოვინგერების კავშირი შტაუფენების საიმპერატორო კართან ფრიდრიხ ბარბაროსას ნახევარდასთან შეუღლებით კიდევ უფრო განამტკიცა. საქსონიის და ბავარიის ჰერცოგის ჰაინრიხ ფონ ლიოვეს ძალაუფლების დაკარგვის პერიოდში (1180-81) თიურინგიის საგრაფოს მნიშვნელობა ლუდვიგ III.- ით სათავეში, საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ საგრაფომ თავისი დიდების ზენიტს რეგენატ ჰერმან I.-ის (1190-1217) მმართველობისას მიაღწია. მის სახელს უკავშირდება ცნობილი „ვართბურგის პოეტთა პაექრობები“ (1206-07) (ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე, ვოლფრამ ფონ ეშენბახი, ჰაინრიხ ფონ ველდეკე), რომლებიც თიურინგიის საგრაფო კარის რაინდული კულტურის ტრადიციების სიმბოლოდ ითვლება. ისტორიას ლუდვიგ IV. სათნო კი შემორჩა, როგორც წმინდა ელისაბეთის მეუღლე. ლუდვიგის შემდგომ, მისი ძმის ჰაინრიხ რასპეს (1227-247) გერმანიის მეფის ტიტულამდე (1246) აღზევება, ლუდოვინგერების აღზევების წარმატებით დაგვირგვინებას ნამდვილად არ ნიშნავდა. არამხოლოდ იმის გამო, რომ ჰაინრიხმა, რომლის სამეფოც რომის პაპს უჭერდა მხარს და ამის გამო, როგორც „პფაფენკიონიგ“ (Pfaffenkönig - ლათ. rex clericorum, რომის იმპერიაში იმ პირების აღსანიშნად გამოიყენებოდა, რომლებიც რელიგიური ცხოვრების წესს მისდევდნენ) მოიხსენიებოდა, ვერ მოახერხა შტაუფენების სამეფო გვარის წარმომადგენლის ფრიდრიხ II.-ს წინააღმდეგ წარმატებისთვის მიეღწია, არამედ იმის გამოც, რომ მისი გარდაცვალებით 1247 წელს ლუდოვინგერების მამრობითი სქესის უკანასკნელი წარმომადგენელი გარდაიცვალა. სისხლიანი ბძოლების შედეგად, რომლებიც ჰაინრიხის მემკვიდრეობის მისაღებად მოხდა, თიურინგიის საგრაფო 1264 წელს ჰესენის და თიურინგიის ნაწილებად დაიყო. თიურინგიის გრაფობა წილად გრაფმარკ ფონ მეისენებს - ვეტინერების გვარიდან ერგოთ.

ჯუჯა სახელმწიფოების მხარე

ვეტინერები გვიან შუასაუკუნეებში ისეთ კომპლექსურ ტერიტორიას განაგებდნენ, რომლის შემადგენელი ნაწილები დღევანდელი საქსონია, თიურინგია და სამხრეთ საქსონია-ანჰალთი იყვნენ. მას შემდეგ რაც მათ 1423 წელს საქსონიის საჰერცოგო (ვიტენბერგი) გადაეცათ, ვეტინერების გვარი კურფიურსტის[1] წოდებამდე აღზევდა. მათ შეძლეს სამფლობელოები თიურინგიაშიც გაეფართოვებინათ (ალთენბურგი, კობურგი, ვაიმარი) და თიურინგიის გრაფთშორისი ომების შემდეგ (1342-1346) უკვე ყველაზე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ. ვეტინერების სამფლობელო მემკვიდრეობითი განაწილების შედეგად ხშირად იყოფოდა და ისევ ერთიანდებოდა, სანამ 1485 ,,ლაიფციგური გაყოფის“ შედეგად, ძმებს ერნსტს

[1] კურფიურსტები წმინდა რომის იმპერიაში იმ წარჩინებულთა მცირე რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა დანიშნულებას წმინდა რომის იმპერიაში რომაელ-გერმანელი (ეტაპი იმერატორად არჩევამდე) მეფის არჩევა წარმოადგენდა

(თიურინგია) და ალბრეხტს (საქსონია) შორის ტერიტორიის ხანგრძლივ დაყოფამდე არ მივიდა საქმე.

თავდაპირველად ერნსტის შთამომავლებმა რეზიდენციით ვიტენბერგში, კურფიურსტის ხარისხის შენარჩუნება შეძლეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერნსტის შტო შმალკალდიურ ომებში 1547 წელს მიუჰლბერგთან იმპერატორის და ჰერცოგ მორიცის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა, კურფიურსტის ხარისხი ალბრეხტის შტოზე გადავიდა. ალბრეხტის შთამომავლებმა მოახერხეს საქსონიის სათავადო (1806 წლიდან - სამეფო) დედაქალაქით დრეზდენში, ერთიან, საზღვრებდაცულ სახელმწიფო ერთეულად გადაექციათ. ვაიმარში დაფუძნებული ერნესტის შტოს წარმომადგენელი ჰერცოგების ბედ-იღბალი სულ სხვაგვარად წარიმართა. 1572 წლის ერფურტის დაყოფის სახელით ცნობილი დანაწევრებით, მათი სამფლობელო გარკვეული დროის განმავლობაში ათ ერთეულად დაქუცმაცდა (აიზენახი, იენა, ჰილდბურგჰაუსენი, აიზენბერგი, ზაალფელდი, რიომჰილდი). 1826 წლამდე, ანუ ტერიტორიების ერთ-ერთ საბოლოო განაწილებამდე, 1918 წლის ჩათვლით არსებობდა: საქსონია-ვაიმარ-აიზენახის (1815 წლიდან დიდი საჰერცოგო), საქსონია-კობურგის, გოთას, საქსონია-მეინინგენის და საქსონია-ალთენბურგის საჰერცოგოები.

ვეტინერების გარდა, სხვა ორი წარჩინებული გვარის წარმომადგენლებმაც მოახერხეს თიურინგიაში თავიანთი ძალაუფლება განემტკიცებინათ. ისტორიულ წყაროებში პირველად XII საუკუნეში მოხსენიებული აღმოსავლეთ-თიურინგიელი რეუსების გვარმა 1673 წელს იმპერიის გრაფის და 1778 წლიდან კი იმპერიის თავადის ტიტული მიიღო. რეუსებმა საკუთარი სამფლობელო დროთა განმავლობაში უამრავ პატარა პოლიტიკურ ერთეულებად დაინაწილეს (შლეიზი, ლობენშტაინი, ებერსდორფი, ჰირშბერგი, ზაალბურგი, ბურგკი, დოლაუ, როთენტალი). 1848 წელს, მიწის საბოლოო განაწილების შედეგი რეუსის ძველი- (რეზიდენციით გრეიცში) და ახალი (რეზიდენციით გერაში) ხაზების სათავადოების წარმოქმნა იყო. შვარცბურგერების გვარმა (ისტორიულ წყაროებში მერვე საუკუნიდან), რომელიც წარმომავლობის ადგილის, შვარცვალდის გამო მოიხსენიებოდა ასე, 1697 წელს იმპერიის თავადის ტიტული მიიღო, თუმცა 1599 წლიდან მოყოლებული გვარი ორ შტოდ - შვარცბურგებად რეზიდენციით ზონდერჰაუზენში და რუდოლშტადტში იყო გაყოფილი. მე-17-ე საუკუნემდე მათი სამფლობელოს დაყოფა აღარ მომხდარა, თუ შვარცბურგების გვარიდან ორ ქვე-განაყოფს (არნშტადტი და ებელებენი) არ ჩავთვლით. გიუნთერ ფონ შვარცვალდმა ,როგორც ერთადერთმა თიურინგელმა, ლუდოვინგერ ჰაინრიხ რასპეს მსგავსად მოახერხა მცირე დროით და შესაბამისად ასევე მცირე შედეგებით, 1349 წელს მეფის ტიტული მოეპოვებინა.

ასე, რომ თიურინგიის უდიდეს ნაწილს საუკუნეების განმავლობაში მმართველთა სამი გვარი განაგებდა. ამასთან ერთად თიურინგიას ისეთი ტერიტორიებიც მიეკუთვნებოდა, როგორებიცაა: იმპერიის ქალაქები მიუჰლჰაუზენი და ნორდჰაუზენი, ჰესენის ქალაქი შმალკალდენი, მაინცის კურფიურსტის მამულები (ერფურტი, აიხსფელდი), ასევე ალბერტინისეული ტერიტორიები ლანგენზალცას და ნაუმბურგს შორის, ტერიტორიები ზუჰლის, შლეუზინგენის და ციეგენრუკის

ირგვლივ. თიურინგიის ცენტრალური ადგილის ერფურტის, როგორც შუასაუკუნეების გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის, სავაჭრო- და კულტურული მონოპოლიის მნიშვნელობა ამ დროისთვის განსაკუთრებით გამოიკვეთა. ერფურტმა მე-13-ე საუკუნის შუახანებიდან იმპერიის ქალაქების მსგავსი დამოუკიდებლობა მოიპოვა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიით გარკველ ძალაუფლებას ფლობდა. მას შემდეგ რაც ერფურტმა დამოუკიდებლობა დაკარგა, ქალაქი 1664 წელს მაინცელი კურფიურსტების მიერ ერფურტის ტერიტორიის სამართავად წარგზავნილი მოხელეების (Statthalter) რეზიდენციად იქცა. როცა საქმე თიურინგიას ეხება, მოხსენებიული უნდა იქნან ფონ ჰენებერგის გრაფები სამხრეთ-დასავლეთ თიურინგიიდან, რომელთა გვარის არსებობა 1583 წელს შეწყდა და მათი ტერიტორიები ვეტინერების სამფლობელოს შეუერთდა.

მაშინ როცა თიურინგიულმა ჯუჯა სახელმწიფოებმა მოახერხეს საფრანგეთის რევოლუციის და 1789-1815 წლების ვენის კონფერენციის შორის მომხდარი ტერიტორიების გადანაწილების მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ, თიურინგიის დანარჩენი ნაწილი (ერფურტი, აიხსფელდი, ნორდჰაუზენი, მიულჰაუზენი) 1802 წელს პრუსიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. მას შემდეგ, რაც პრუსიამ 1806 წლის ოქტომბერში იენის და აუერშტადტის მიდამოებში ნაპოლეონის წინააღმდეგ მარცხი განიცადა, ფრანგების ბატონობის (1813/14) შემდეგ წლებში ერფურტი, აიხსფელდი, ნორდჰაუზენი, და მიულჰაუზენი საქსონიის სათავადოებთან ერთად საბოლოოდ შეუერთნენ პრუსიას. ამიერიდან თიურინგია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი, ერთის მხრივ ის ჯუჯა სახელმწიფოებისგან შედგებოდა და მეორე მხრივ პრუსიული ნაწილისგან, რომლის ცენტრს საქსონიის პროვინციაში მდებარე ერფურტის ადმინისტრაციული ერთეული წარმოადგენდა.

„პრუსიულ თიურინგიას“ მიეკუთვნებოდა ასევე შმალკალდენის ტერიტორიული ერთეული (1866 წლიდან საქსონია-ნასაუს პროვინცია) და ასევე თანამედროვე პერსპექტივიდან, მერსებურგის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებული პუნქტები (ზანგერჰაუზენი, ექარტსბერგა, ქუერფურტი, ვეიზენფელსი, ნაუმბურგი და ცაიტცი).

თიურინგიის ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობაზე 1871 წელს დაარსებულ გერმანიის იმპერიას არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია. ახალი ფედერალური სახელმწიფო 22 მონარქიისგან, სამ ჰანზის კავშირის წევრ ქალაქისგან და იმპერიის ფედერალური ტერიტორიის ელზას-ლოთარინგიისგან შედგებოდა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მარტო თიურინგიაში, დამოუკიდებელი თავადების (ბისმარკის „ღობის მეფეები“) სულ მცირე ერთი მესამედი ერთმანეთს ავიწროებდა. გერმანულ სახელმწიფოებს შორის ყველაზე ძლიერი პრუსია კი თიურინგიაში თავის პოზიციას უფრო და უფრო აძლიერებდა. გარდა იმისა რომ, პრუსიიდან წამოსულ ეკონომიკურ იმპულსებს სხვა გერმანული სახელმწიფოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მის განკარგულებაში აღმოჩნდა რკინიგზა. პრუსიამ ასევე შეუწყო ხელი სამართლებრივი, მმართველობის და განათლების სისტემების მოდერნიზაციას. პრუსიული გარნიზონები იდგა ყველა გერმანულ ჯუჯა-სახელწიფოში. მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური ჩამორჩენილობისა, პრუსიის აღმატებულებამ სხვა გერმანულ სახელწიფოებთან შედარებით და მისი,

როგორც იმპერიის დამაარსებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ძალის სტატუსმა, შესაბამის მხარეებში პრუსიული პატრიოტიზმის გაღვივებას შეუწყო ხელი.

თიურინგიის ისტორიული მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა კულტურის სფეროში ძევს. იმ დროიდან მოყოლებული, როცა 1517 წელს ვიტენბერგის მონასტრის კარზე მარტინ ლუთერმა თავისი თეზისები მიაჭედა, (ინდულგენციებით ვაჭრობის და კათოლიკურ ეკლესიაში არსებული უმსგავსობების წინააღმდეგ) რამაც მოგვიანებით რეფორმაციას ჩაუყარა საფუძველი, თიურინგიის, როგორც რეფორმაციის კერის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ლუთერის სახელს. ლუთერი 1501-1505 წლებში იმ დროისთვის ერთ-ერთ წამყვან ერფურტის უნივერსიტეტში (დაარსდა 1392 წელს) სწავლობდა და ვიტენბერგის მონასტერში გადასვლამდე (1511წ.) ერფურტის ავგუსტინურ მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი. კურფიურსტი ფრიდრიხ ბრძენი (1486-1525) ლუთერის მფარველი გახდა და 1521-1522 წლებში ის უსაფრთხოების მიზნით ვართბურგში (ციხე-სიმაგრე) გადაიყვანა, სადაც ლუთერმა ახალი აღთქმა ლათინურიდან გერმანულად გადათარგმნა (ახალი აღთქმის პირველი გერმანული თარგმანი). ფრიდრიხის ძმისწულმა იოჰან ფრიდრიხმა (ჰანფრიდი) 1548 წელს იენის უმაღლესი სკოლა დაარსა (1558 წლიდან იენის უნივერსიტეტად იქნა წოდებული და რეგიონის პროტესტანტული უნივერსიტეტად განვითარდა), როგორც 1547 წელს ალბერტინელების მფლობელობაში გადასული ვიტენბერგის უნივერსიტეტის შემცვლელი (დაარსდა 1502 წელს).

დიდი სანათესაო ქსელის მქონე ბახების ოჯახის სამშობლოც ასევე თიურინგიაა. იოჰან სებასტიანი ბახი 1685 წელს აიზენახში დაიბადა და როგორც მუსიკოსი, თავდაპირველად არნშტადტში, მიულჰაუზენში და ვაიმარში მოღვაწეობდა. ისეთი ცნობილი პიროვნებების სახელების მთელი რიგის დასახელებაა შესაძლებელი, რომლებიც თიურინგიიდან არიან, მაგ: მისტიკოსი მაისტერ ეკჰარტი, თიურინგიაში გლეხთა ომის (1525) წინამძღოლი თომას მიუნცერი, ლუკას კრანახი, ჰაინრიხ შუტცი, ერნსტ ჰაეკელი, კარლ ცაისი, ერნსტ აბე, ერნსტ ბარლახი, ფრიდრიხ ნიცშე, ჰერნრი ვან დერ ველდე და ვალტერ გროპიუსი.

თუმცა თიურინგიის კულტურულ ლანდშაფტზე ყველაზე დიდი ზეგავლენა „ვაიმარულმა კლასიკამ“ მოახდინა, რომელიც ასევე მოიხსენიება, როგორც „გოეთეს ხანა“ (1775-1832) და „ოქროს ხანა“ საქსონია-ვაიმარ-აიზენახის რეგიონში. ჰერცოგ ანა-ამალიას „მუზების კარი“ და მისის ვაჟის კარლ აუგუსტის (1775-1828) რეგენატობის პერიოდი „ილმათენში“ (ასე უწოდებდა გოეთე ვაიმარს) მრავალ თანამედროვე ინტელექტუალს იზიდავდა. „პოეტების მეფის“ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს გარდა, კრისტოფ მარტინ ვილანდს, იოჰან გოტფრიდ ჰერდერს და ფრიდრიხ შილერს. პარალელურად იენის უნივერსიტეტი, სადაც 1789-93 წლებში შილერი, როგორც პროფესორი მოღვაწეობდა, იდეალისტური ფილოსოფიის(ფიხტე, შელინგი, ჰეგელი) და ადრეული რომანტიზმის (შლეგელი, ტიკი, ბრენტანო, ნოვალისი) ცენტრად გადაიქცა.

მოგვიანებით საქსონია-ვაიმარში დიდი ჰერცოგის კარლ ალექსანდერის (1853-1901) მმართველობის პერიოდში, ფრანც ლისტის, „კლასიკის მემკვიდრეობის“ შენარჩუნების და ვართბურგის ახლად აშენების წყალობით „ვერცხლის ხანის“

დრო დადგა. სხვა ჯუჯა-სახელმწიფოების მმართველებიც იყვნენ მოწადინებული, თავიანთი სამფლობელოები კულტურის მნიშვნელოვან კერებად გადაექციათ. ჰერცოგმა ერნსტ სათნომ ცადა (1640-1675) გოთაში აბსოლუტური, სამაგალითო სახელმწიფო შეექმნა, მაინინგენში „თეატრის ჰერცოგმა“ გეორგ II.-მ (1866-1914) გერმანული თეატრის ისტორია დაწერა.

მე-19-ე საუკუნეში, მოდერნიზმის ჩასახვის პროცესისთვის მნიშვნელოვანი იყო ის იმპულსები, რომლებიც თიურინგიიდან მოდიოდა. ლიბერალურ-ნაციონალური მოძრაობის განვითარებისთვის თიურინგიაში ხელსაყრელი პირობები არსებობდა. 1816 წლის საქსონია-ვაიმარის კონსტიტუციური კანონმდებლობა ერთ-ერთი პირველი იყო მსგავს კანონმდებლობებს შორის. 1817 წლის ვართბურგის ზეიმი, გერმანელ სტუდენტთა გაერთიანების დაარსება იენაში 1818 წელს და 1859 წელს ეროვნული გაერთიანების ზეგავლენის გაზრდა აიზენახის მიდამოებში, მხოლოდ ამოწმებენ იმ ფაქტს, რომ თიურინგიაში ლიბერალურ-ნაციონალურმა იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვეს. ასევე დასახელებული უნდა იქნას საქსონია-კობურგის და გოთას ლიბერალი ჰერცოგი ერნსტ II (1844-1893), თუმცა არსებობდნენ კონსერვატიული მმართველებიც. საუკუნის მეორე ნახევრიდან კონსერვატიული მმართველობის სისტემიდან ლიბერალურისკენ გადახრა თვალშისაცემია. ინდუსტრიალიზაცია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მრავალფეროვან, ინოვაციურ ხასიათს ატარებდა. პირველ რიგში იენა იყო ის ქალაქი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების სამაგალითო ქალაქად განვითარდა (ცაისი, შოტი). თიურინგია, როგორც აღმავლობის გზაზე მყოფი ინდუსტრიული რეგიონი მუშათა მოძრაობის ადრეულ ცენტრადაც იქცა, სადაც პოლიტიკური ორიენტაციისთვის მნიშვნელოვანი პარტიათა შეკრებები ეწყობოდა.1869 წელს აუგუსტ ბაბელმა და ვილჰელმ ლიბკნეხტმა აიზენახში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაერთიანება დაარსეს, რასაც 1875 წელს გოთაში ლაზალეს მიერ შექმნილ მუშათა გაერთიანებასთან შერწყმა მოჰყვა და საბოლოოდ 1891 წლის ერფურტის საპროგრამო შეკრებაზე პარტიას ოფიციალურად ეწოდა სპდ, ანუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

გზა ფრაიშტაატ[2] თიურინგიამდე

თიურინგიის გაერთიანების მცდელობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ფაქტი განსაკუთრებით 1848-49 წლების რევოლუციის პერიოდში გახდა თვალშისაცემი. მეოცე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ის ხმები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჯუჯა-სახელმწიფოებრივი სტრუქტურები ჯერ კიდევ არსებობენ. განსაკუთრებით მწვავე დისკუსია გამოიწვია მაინინგელი სოციალ-დემოკრატის არტურ ჰოფმანის თხზულებამ „თიურინგიული ჯუჯა-სახელმწიფოების ჩივილი“(1906). პირველი მსოფლიო ომი (1914-18) და 1918 წლის რევოლუციის

[2](Original: Freistaat - სიტყვა-სიტყვით თავისუფალი ქვეყანა) მეცხრამეტე საუკუნეში ტერმინი გამოიყენებოდა იმ სახელმწიფოებრივი ერთეულის აღსანიშნავად, რომელიც მონარქის მიერ არ იმართებოდა. ფრაიშტაატი რესპუბლიკის სინონიმადაც მოიაზრებოდა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თიურინგენის (1993 წლიდან) გარდა, ფრაიშტაატი ბაიერნის და საქსონიის მხარეების აღსანიშნავადაც გამოიყენება.

შედეგად მიღწეული მონარქიების დასასრული იყო ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც თიურინგიის გაერთიანების პროცესი დააჩქარეს. რეუსების გვარის ორი შტოს გაერთიანება (1919) დაედო საფუძვლად იმ ფაქტს, რომ 1920 წლის 1. მაისს თიურინგიის შვიდი ჯუჯა-სახელმწიფო „ფრაიშტაატ თიურინგიაში“ გაერთიანდა, რომლის დედაქალაქიც ვაიმარი გახდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ „პატარა თიურინგიას“ თიურინგიის პრუსიული ტერიტორიები ჯერ კიდევ არ მიეკუთვნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თიურინგიის ფორმალური გაერთიანების პროცესი 1920-21 წლებში, ასე თუ ისე პოლიტიკური ერთეულების საერთო ნებას გამოხატავდა, შინაგანი ფორმირების პროცესი სულ სხვა გზით წარიმართა. საზოგადოებრივი ნიველირებისთვის მოღვაწე პირველმა მთავრობამ (1920-21), რომელიც სოციალ-დემოკრატებისა და მემარცხენე ლიბერალებისგან შედგებოდა, სწრაფი მარცხი განიცადა. 1920 წლის მარტში კაპის პუტჩის[3] შედეგად დაწყებულმა, სასტიკმა სამოქალაქო ომმა სოციალისტ მუშათა და ბურჟუაზიულ~კონსერვატიული მოსახლეობის ფენებს შორის თითქმის გადაულახავი უფრსკული წარმოქმნა. ამ ყველაფრის შედეგი კი ლანდთაგში[4] ორი მკაფიოდ განსხვავებული პოლიტიკური ბანაკის ჩამოყალიბება და მემარჯვენე ფრთის რადიკალური პარტიების გაძლიერება იყო. 1921-23 წლებში თიურინგიის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, აუგუსტ ფროლიჰის წინამძღოლობით, პირველ ხანებში დამოკიდებული იყო კომუნისტებზე, რაც 1923 წლის შემოდგომაზე კოალიციაში - „სახალხო ფრონტის მთავრობა“ გამოიხატა. ასე მიაღწია გაცხარებული დისკუსიის საგანმა „წითელმა თიურინგიამ“ აღმავლობის პიკს, რამაც ის რეფორმების (გრაილის[5] სკოლის რეფორმა) და მოდერნისტული ხელოვნების ცენტრად აქცია (ვაიმარის ბაუჰაუსი 1919-1924). 1924-1929 წლებში, ანუ ბურჟუაზიულ-კონსერვატიული მთავრობების ხანაში, რეფორმების უმრავლესობა გაუქმდა და რეფორმირებული სფეროები თავიანთ პირვანდელ ფორმას დაუბრუნდა. ამიერიდან თიურინგიის პოლიტიკურ სცენაზე სახალხო და შესაბამისად გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურმა მუშათა პარტიებმა, როგორც „სასწორის გადამწონმა პინამ“ ლანდთაგში ზეგავლენის მოპოვება და ამ ზეგავლენის თიურინგიის მხარის პოლიტიკაზე მოხდენა დაიწყეს. ასე იქცა თიურინგია ნაციონალ-სოციალიზმის ერთ-ერთ ადრეულ კერად.

ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1930/31 წლებში თიურინგიის მთავრობაში, პირველად ვაიმარის რესპუბლიკის ისტორიაში, ნაციონალ-სოციალისტები შევიდნენ. ნაციონალ-სოციალისტებმა მოახერხეს თიურინგიის შინაგან საქმეთა და სახალხო მინისტრის ვილჰელმ ფრიკის წინამძღოლობით „ძალაუფლების ხელში ჩაგდების რეპეტიცია“ გაევლოთ და საჭირო გამოცდილება დაეგროვებინათ. 1932 წლის აგვისტოში „ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანულ მუშათა პარტიამ“ „ძალაუფლების მოპოვების წინასწარი რეპეტიცია“ წარმატებით დაასრულა და

[3] პუტჩი ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც მისი ერთ~ერთი წინამძღოლის ვოლფგანგ კაპის მიხედვით იქნა წოდებული

[4] მხარის არჩევითი, წარმომადგენლობითი ორგანო

[5] თიურინგიის სახალხო განათლების მინისტრი

გაულაიტერ[6] ფრიც საუკელის ხელში თიურინგიის მასშტაბით საგრძნობად დიდი ძალაუფლება აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში ჰიტლერი მოვიდა, საუკელმა თიურინგია „მესამე იმპერიის“ სამაგალითო გაუდ აქცია. ვაიმარი ნაციონალ-სოციალიზმის პომპეზურ სტილში გაუს ცენტრად გადაიქცა და მის მიდამოებში აშენდა ბუხენვალდის საკონცეტრაციო ბანაკი (1937-1945), რომელშიც 50. 000 -ზე მეტმა ადამიანმა ჰპოვა აღსასრული. ამასთანავე საუკელმა მოახერხა თავისი ძალაუფლება მთელს თიურინგიაზე გაევრცელებინა. 1944 წელს ის ერფურტის რეგიონში ობერპრეზიდენტის[7] უფლებებით იქნა აღჭურვილი.

საბოლოოდ, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945) შემდეგ შეიქმნა თიურინგიის მხარე, რომელშიც ყოფილი პრუსიული ტერიტორიებიც შედიოდნენ და რომელიც მის დღევანდელ ტერიტორიულ საზღვრებს უმეტესწილად შეესაბამებოდა. მცირეხნიანი ამერიკული პატრონაჟის შემდეგ თიურინგია მოკავშირეებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ჯერ საბჭოთა კავშირის სამხედრო ზონას, მოგვიანებით კი 1949 წელს დაარსებულ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიეკუთვნებოდა. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ შემოღებით თიურინგია უკვე 1952 წელს ერფურტის, გერას და ზულის რაიონებად დაიყო. „სოციალიზმის მშენებლობამ“, რომელიც 1953 წლის 17 ივნისს, თიურინგიის აღმოსავლეთ ნაწილში (იენა, გერა, ვიზმუტის რეგიონი) მომხდარი სახალხო აჯანყებით მხოლოდ მცირე ხნით იქნა შეყოვნებული, რეგიონში თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და ეკონომიკური სფეროების ახალ ლიანდაგზე გადაყვანა გამოიწვია. 1961 წლის შემდეგ დამდგარ კონსოლიდაციის ფაზაში (იგულისხმება აღმოსავლეთ გერმანია) მიზანმიმართულად ინდუსტრიალიზირებული თიურინგია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს, ტექნოლოგიურ ცენტრად განვითარდა (კარლ-ცაის იენა, მიკრო-ელექტროტექნიკ ერფურტ). თუმცა 80-იანი წლების ბოლოს „რეალურად არსებული სოციალიზმის“ უტოპიურობა სულ უფრო და უფრო გახდა თვალში საცემი.

ცივი ომის დასასრულის და 1990/91 წლებში გერმანიის გაერთიანების შედეგი, თიურინგიის საბოლოო გაერთიანებაც იყო. სამი ზემოთ ხსენებული რაიონის, ასევე ალთენბურგის, შმოლნის და არტერნის თემების საფუძველზე 1990 წელს წარმოიქმნა თიურინგიის მხარე 16. 171 კვადრატული კილომეტრი ფართობით და 2,7 მილიონი მოსახლეობით, რომლის მიხედვითაც თიურინგიის მხარე გერმანიის 16 მხარეს შორის მეათე, მეთერთმეტე ადგილზეა. თიურინგიის დედაქალაქი ერფურტი გახდა. მას შემდეგ რაც 1993 წელს თიურინგიის მხარის კონსტიტუცია იქნა მიღებული, მხარის სტატუსს 1920 წელთან დაკავშირებით, სტატუსი „ფრაიშტაატ თიურინგია“ დაემატა. პირველი კოალიციური მთავრობების შემდეგ, რომელშიც ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და თავისუფალი, დემოკრატიული პარტია (ლიბერალები) შედიოდა (1990-1994), ასევე დიდი კოალიციის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატებისა და გერმანიის სოციალისტური პარტიის

[6] (Gau - გადმოღებული იქნა პრუსიული სახელწოდებიდან) ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ქვეყანა დაყოფილი იყო გაუებად, ანუ რაიონებად. Gauleiter (გაულაითერი): რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმღვანელი, რომელიც ფაქტიურად მართავდა მას

[7] სახელწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი რეგიონში

შემადგენლობით (1994-1999), ქრისტიან დემოკრატიული პარტიაა ის ძალა, რომელიც 1999 წლიდან თიურინგიის მხარეს უდგას სათავეში (მთავრობის თავმჯდომარეები: 1990-1992 იოზეფ დუხაკი, 1992-2003 ბერნარდ ფოგელი, 2003 წლიდან დიტერ ალთჰაუსი). უნდა ითქვას, რომ თიურინგია იმ მწვავე პრობლემებს ვერ გადაურჩა, რომლებიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ წარმოქმნილ ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებებს (დეინდუსტრიალიზაცია, უმუშევრობა, მოსახლეების ზრდის შემცირება) თან ახლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა თიურინგიის მხარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ახალ“ მხარეებს შორის, სხვადასხვა სფეროებში განვითარების ტემპით მოწინავე ადგილზეა.

თიურინგიის საქვეყნოდ ცნობილი კულტურული ლანდშაფტი და მისი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები („გერმანიის მწვანე შუაგული“) ტურისტებზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ასევე აღსანიშნავია, რომ თიურინგელებს ძალიან უყვართ მშობლიური მხარე. იმ ფაქტმა, რომ თიურნგია თავისი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოებრივი ფორმების და მმართველობის სისტემის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თიურინგიელებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. კერძოდ, ხელი შეუწყო იმ აზრის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, რომ თიურინგია სხვა მხარეებთან შედარებით განსაკუთრებული და აღმატებული მხარეა, რომლის ისტორიაც თიურინგიის საგრაფოდან იწყება. თიურინგიის დღევანდელი გერბი სიმბოლურად ამ „ისტორიულად მრავალფეროვან ერთიანობაზე“ დაყრდნობით შეიქმნა. მასზე გამოსახულია „თიურინგიული ლომი“ წითელ-ვერცხლისფერი ზოლებით ლურჯ ფონზე - გარემოცული რვა ვერცხლისფერი ვარსკვლავით, რომლებიც ყოფილ თიურინგიულ ჯუჯა სახელმწიფოებს და პრუსიულ ტერიტორიებს გამოხატავენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

თიურინგიის სამეფოდან ფრაიშტაატ თიურინგიამდე (გამომცემელი: თიურინგიის ლანდთაგი და თიურინგიის ისტორიის კომისია, ერფურტი 1999 წ.)

რაინჰარდ იონშერი/ვილი შილინგი: თიურინგიის მოკლე ისტორია, იენა 2001.

გამომცემელი:

თიურინგიის მხარის პოლიტიკური განათლების სააგენტო

რეგიერუნგსშტრასე 73, 99084 ერფურტი

www.thueringen.de/de/de/ltz

ავტორი: დოქტორი შტეფენ რასლოფი (Dr. Steffen Raßloff)

ერფურტის უნივერსიტეტი

ზომერდას გამომცემლობა 2004